ხელშეკრულება №17/02-378

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი **21 დეკემბერი, 2017 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - სოციალური მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 4 იანვრის №116 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1^1 და 4^2 პუნქტებისა და მე-7 მუხლის, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის №01-31/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 06 აგვისტოს №416 დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №04/65541 (სააგენტოში რეგისტრაციის №20069; 19.10.2017წ.) წერილის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შექმნილ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრზე (შემდეგში - რეესტრი) სოციალური მომსახურების სააგენტოს რეალურ დროში დაშვება, აღნიშნულ რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში - სამინისტროს ინფრასტრუქტურა) და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (შემდგომში – მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა) მეშვეობით ხელშეკრულებით დადგენილი წესით/ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით.

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

მუხლი 2. სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდების მიზანი

ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების მიზანს წარმოადგენს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის ფულადი დახმარების გაცემის ორგანიზების, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და გადაანგარიშების უზრუნველსაყოფად, ფიზიკური პირის (მონაცემთა სუბიექტის) იდენტიფიცირება.

მუხლი 3. კავშირის უზრუნველყოფა

3.1 სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სამინისტროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურების მეშვეობით.

3.2 სამინისტროს და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურების მეშვეობით სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მისაწოდებლად, მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების ბაზაზე. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

3.3 სამინისტროს ინფრასტრუქტურაში სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩართვას, სამინისტროს ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას და მისი შეუფერხებლად გამოყენების მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტრო.

3.4 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურაში სამინისტროს ჩართვას, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობასა და მისი შეუფერხებლად გამოყენების მხარდაჭერას უზრუნველყოფს მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

3.5 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ინფორმაციის მისაწოდებლად გამოიყენება მხარეთა შორის 2016 წლის 22 სექტემბერს დადებული №16/02-284 ხელშეკრულების შესაბამისად აგებული დახურული კერძო ქსელი (VPN).

მუხლი 4. ავთენტიფიკაცია და ავთენტიფიკაციის სერტიფიკატის მიწოდება

4.1 დახურული კერძო ქსელით ინფორმაციის გაცვლისას, სოციალური მომსახურების სააგენტო და სააგენტო ერთმანეთის ამოცნობას (ავთენტიფიკაციას) ახორციელებენ სააგენტოს მიერ გაცემული ელექტრონული სერტიფიკატის მეშვეობით.

4.2 დახურული კერძო ქსელით ინფორმაციის გაცვლისას, მხარეთა მიერ ერთმანეთის ამოცნობა (ავთენტიფიკაცია) ხორციელდება სააგენტოს მიერ მხარეთა შორის 2016 წლის 22 სექტემბერს დადებული №16/02-284 ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ელექტრონული სერტიფიკატის მეშვეობით. სერტიფიკატის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტო მიმართავს სააგენტოს, რომელიც 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს ახალ სერტიფიკატს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარდგენილი მონაცემებით (პარამეტრებით). სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული სერტიფიკატის ვადის გასვლის შემთხვევაში და აგრეთვე, დამატებითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს ელექტრონული სერტიფიკატი და უზრუნველყოს შეცვლილი ელექტრონული სერტიფიკატის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემა.

4.3 სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს ახალი ელექტრონული სერტიფიკატი და უზრუნველყოს მისი სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემა.

4.4 სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ელექტრონული სერტიფიკატის გამოცემის მოთხოვნით წერილობით მიმართოს სააგენტოს, რომელიც, ზემოაღნიშნული წერილის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, გამოსცემს ახალ სერტიფიკატს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარდგენილი მონაცემებით. წერილში მითითებული უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:

ა) ელექტრონული სერტიფიკატის მფლობელი სოციალური მომსახურების სააგენტოს დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ნინო იმწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

ბ) ელექტრონული სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი;

გ) ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელზეც გაიგზავნება ელექტრონული სერტიფიკატის რეკვიზიტები.

4.5 სოციალური მომსახურების სააგენტო, ხელშეკრულების 4.3 და 4.4 პუნქტებით გათვალისწინებული ელექტრონული სერტიფიკატის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში, უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ გადაცემული ახალი ელექტრონული სერტიფიკატის ინტეგრირებას, რის შესახებაც დაუყონებლივ ახდენს სააგენტოს ინფორმირებას, ძველი ელექტრონული სერტიფიკატის გაუქმების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, ახალი ელექტრონული სერტიფიკატის გადაცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გააუქმოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ გაცემული წინა ელექტრონული სერტიფიკატი.

4.6 ელექტრონული სერტიფიკატის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე, სოციალური მომსახურების სააგენტო მიმართავს სააგენტოს ახალი ელექტრონული სერტიფიკატის გაცემის მოთხოვნით.

4.7 ელექტრონული სერტიფიკატის დამატებითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მისი შეცვლის საჭიროებისას, სააგენტო და სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულნი არიან დაუყონებლივ მოახდინონ ერთმანეთის ინფორმირება. ამასთან, სააგენტომ არაუმეტეს ერთი სამუშაო დღეში უნდა გამოსცეს ახალი ელექტრონული სერტიფიკატი, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტომ, არაუმეტეს ერთ სამუშაო დღეში, მოახდინოს მისი ინტეგრირება.

4.8 სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ელექტრონული სერტიფიკატის გადაცემა შესაძლოა მოხდეს როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ელექტრონული სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის პირადად გადაცემის, ფოსტის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის, ასევე ელექტრონული სერტიფიკატის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის სერვერზე განთავსების მეშვეობით. ელექტრონული სერტიფიკატის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის სერვერზე განთავსების შემთხვევაში, სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს გადასცემს მონაცემთა გაცვლის სერვერთან დაკავშირებისათვის საჭირო რეკვიზიტებს: სერვერის მისამართს, სერვერზე წვდომის მომხმარებლის სახელს და პაროლს.

4.9 ელექტრონული სერტიფიკატის გადაცემის თაობაზე, ხელშეკრულების 10.1 პუნქტით განსაზღვრულ სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს შორის, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემული ელექტრონული სერტიფიკატის გამოყენებით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ინფორმაციის გამოთხოვისას, სააგენტოსათვის ინფორმაციის გამომთხოვად ითვლება სოციალური მომსახურების სააგენტო, მიუხედავად მოთხოვნის ინიციატორისა.

მუხლი 5. ინფორმაციის გამოთხოვისა და პასუხის მიწოდების წესი

5.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მიზნისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვა და მისთვის პასუხის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების №1-№3 დანართებით გათვალისწინებული წესით.

5.2. მხარეთა შორის ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლისას, სოციალური მომსახურების სააგენტო მის მიერ შესრულებულ მოთხოვნას ხელს აწერს სააგენტოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელზე გაცემული აქტიური ელექტრონული სერტიფიკატის მეშვეობით, ხოლო სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნაზე პასუხს უბრუნებს სააგენტოს მიერ სააგენტოს სახელზე გაცემული აქტიური ელექტრონული სერტიფიკატით ხელმოწერილი სახით. ინფორმაციის გაცვლის დროს შეკითხვისა და პასუხის ინფორმაციულ ობიექტებში ხელმოსაწერი ქვეობიექტები განისაზღვრება ხელშეკრულების №1-№3 დანართებით.

5.3. მხარეთა შორის ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება დაშიფრული სახით. ინფორმაციის გაცვლის დროს შეკითხვისა და პასუხის ინფორმაციულ ობიექტებში დასაშიფრი ქვეობიექტები განისაზღვრება ხელშეკრულების №1-№3 დანართებით.

5.4. შიფრაციის გასაღების განახლების პერიოდი და შიფრაციის გასაღების გაცვლის წესი განისაზღვრება ხელშეკრულების №4 დანართში მოთითებული ინსტრუქციითა და პერიოდულობით.

ნინო ინწკირველი | ნიკოლოზ გაგნიძე | ზაზა სოფრომაძე | თენგიზ აზაძე

5.5. სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტოს, შეკითხვაზე პასუხის სახით, უგზავნის შეტყობინებას რეესტრში ინფორმაციის ვერ მოძიების ან სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან მიღებული შეკითხვის არავალიდურობის შესახებ, თუ აღმოჩნდა, რომ:

ა) მოწოდებული პარამეტრების კომბინაციით რეესტრში არ იძებნება ინფორმაცია;

ბ) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოგზავნილი შეკითხვის ფორმატი არ შეესაბამება შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ შეკითხვის ფორმატს;

გ) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოგზავნილ შეკითხვის ობიექტში სოციალური მომსახურების სააგენტოს ელექტრონული სერტიფიკატით ხელმოწერა არ არის განხორციელებული შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ ინფორმაციულ ქვეობიექტზე ან/და ხელმოწერა განხორციელებულია არავალიდური ელექტრონული სერტიფიკატით;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 5.3 პუნქტის შესაბამისად გამოგზავნილ შეკითხვის ობიექტში შიფრაცია არ არის განხორციელებული შესაბამისი დანართით გათვალისწინებულ ინფორმაციულ ქვეობიექტზე ან/და შიფრაცია განხორციელებულია არავალიდური შიფრაციის გასაღებით.

მუხლი 6. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ტესტირება

6.1. დახურული კერძო ქსელის (VPN), მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და სამინისტროს ინფრასტრუქტურების მეშვეობით სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის პასუხის მიწოდების გამართულად მუშაობის დადასტურების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, ისარგებლოს ტესტირების რეჟიმით.

6.2. ტესტირების განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით რეესტრიდან გამოითხოვოს სატესტო მონაცემები. ამ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდებული პასუხების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 300-ს.

6.3. ტესტირების რეჟიმის დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შორის ფორმდება დახურული კერძო ქსელის (VPN) გამართვისა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის" მეშვეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მონაცემთა გამოთხოვისა და გამოთხოვილ მონაცემებზე პასუხის (შემდეგში - პასუხი) სახით ინფორმაციის მიწოდების მზაობის თაობაზე მიღება–ჩაბარების აქტი.

6.4. ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული წესით გამოითხოვოს და მიიღოს რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული მონაცემები.

6.5. დახურული კერძო ქსელის (VPN) და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის მეშვეობით სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის პასუხის მიწოდების გამართულად მუშაობის ტესტირება ასევე შესაძლებელია განხორციელეს სააგენტოს მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ახალი ელექტრონული სერტიფიკატის გადაცემისას ან/და მხარეების მიერ პროგრამული ცვლილების დანერგვა/განხორციელებისას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფორმაციის გამოთხოვის პროცესზე.

6.6. ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია სოციალური მომსახურების სააგენტოს ნება დართოს, ისარგებლოს ტესტირების რეჟიმით.

6.7. ხელშეკრულების 6.2 და 6.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეესტრიდან ინფორმაცია გამოთხოვილად ითვლება, თუ სააგენტოს მიერ აღრიცხულ იქნა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის გაგზავნა ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აღრიცხულ იქნა ინფორმაციის მიღება.

6.8. ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის, სააგენტო ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილ პირს უგზავნის ვებ-სერვისის სატესტო მეთოდის მახასიათებლებსა და სატესტო მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან სატესტო რეჟიმში ინფორმაციის გამოთხოვა.

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

მუხლი 7. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან აწარმოონ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა.

7.2 სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველ განხორციელებულ გზავნილს ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს.

7.3 სოციალური მომსახურების სააგენტო აღრიცხავს თითოეულ მოთხოვნას, მისი გაგზავნის დროს, მიღებულ პასუხს და მისი მიღების დროს.

7.4 სოციალური მომსახურების სააგენტო, სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერის მეშვეობით, უზრუნველყოფს მისგან გაგზავნილი ყოველი მოთხოვნის ავტორის (მომხმარებლის) იდენტიფიცირებასა და აღრიცხვას.

7.5 მონაცემთა გაცვლის სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის მეშვეობით წარმატებულად მიღებულ გზავნილს ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება თითოეული მოთხოვნა-პასუხის იდენტიფიკაცია.

7.6 მონაცემთა გაცვლის სააგენტო აღრიცხავს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის" მეშვეობით ინფორმაციის გამოთხოვის საერთო რაოდენობას, თითოეული მოთხოვნის შემოსვლისა და მოთხოვნაზე პასუხის გაგზავნის დროს.

7.7 სააგენტო თითოეულ მოთხოვნას ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს.

7.8 სააგენტო აღრიცხავს მიღებულ მოთხოვნასა და მისი შემოსვლის დროს, გაგზავნილ პასუხსა და მისი გაგზავნის დროს.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები

8.1 სააგენტო ვალდებულია:

ა) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისას, უზრუნველყოს რეესტრში არსებული ინფორმაციის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და დანართების შესაბამისად, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიწოდება, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მიწოდებული პასუხის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაგზავნას;

ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და წესით გამოსცეს და მიაწოდოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან უფლებამოსილ პირს ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ავთენტიფიკაციის ელექტრონული სერტიფიკატი;

გ) უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის მიწოდებულ და რეესტრში დაცულ ინფორმაციას შორის შესაბამისობა;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, წარუდგინოს მომთხოვნ მხარეს ხელშეკრულების 7.7 და 7.8 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია;

ე) მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარუდგინოს ხელშეკრულების 7.7 და 7.8 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, გარდა ინფორმაციის შინაარსისა;

ვ) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფლებამოსილ პირს ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს საკუთარი ინფრასტრუქტურის იმგვარი ტექნიკური ცვლილების თაობაზე, რომელიც გავლენას ახდენს მხოლოდ სააგენტოსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ურთიერთკავშირზე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარება მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან შეთანხმებული გრაფიკით;

ზ) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამინისტროს უფლებამოსილ პირებს დაუყონებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ უცნობი შეფერხების ან/და იმ აუცილებელი (გადაუდებელი) ტექნიკური ცვლილების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სააგენტოს ინფრასტრუქტურის წვდომაზე შეფერხება;

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

თ) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამინისტროს უფლებამოსილ პირებს აცნობოს საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ი) არ დაუშვას სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის (გარდა, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდგომ.

8.2 სამინისტრო ვალდებულია:

ა) რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს მხარეთა მიერ სამინისტროს ინფრასტრუქტურით სარგებლობა;

ბ) უზრუნველყოს სამინისტროს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და ხელშეკრულების მხარეთა მიერ სამინისტროს ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაციული მხარდაჭერა;

გ) უზრუნველყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ მიწოდება და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მის მოთხოვნაზე სააგენტოს პასუხის დროული მიწოდება;

დ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის (გარდა საჯარო ინფორმაციისა) მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემასა და გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაციაზე;

ე) უზრუნველყოს ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება;

ვ) განახორციელოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

8.3 მონაცემთა გაცვლის სააგენტო ვალდებულია:

ა) რეესტრში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს მხარეთა მიერ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურით სარგებლობა;

ბ) უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაციული მხარდაჭერა;

გ) უზრუნველყოს სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით მიღებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის სააგენტოსათვის დაუყოვნებლივ მიწოდება და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მის მოთხოვნაზე სააგენტოს პასუხის სამინისტროსათვის დროული მიწოდება;

დ) უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფრასტრუქტურის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება;

ე) ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თარიღიდან, სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის მონაცემთა გაცვლა უზრუნველყოს მხოლოდ რეალურ გარემოში, გარდა ხელშეკრულების 6.2 და 6.5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ვ) სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან მომდევნო სამუშაო დღეს და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, მომთხოვნ მხარეს წარუდგინოს ხელშეკრულების 7.5 და 7.6 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია;

ზ) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ სააგენტოს უფლებამოსილ პირს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ უცნობი შეფერხების

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

ან/და იმ აუცილებელი (გადაუდებელი) ტექნიკური ცვლილების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მის ინფრასტრუქტურაზე წვდომის შეფერხება.

თ) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამინისტროს უფლებამოსილ პირებს აცნობოს საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე;

ი) ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრულ სააგენტოს უფლებამოსილ პირს ცვლილებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს საკუთარი ინფრასტრუქტურის იმგვარი ტექნიკური ცვლილების თაობაზე რომელიც გავლენას ახდენს მხოლოდ სააგენტოსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ურთიერთკავშირზე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარება სააგენტოსთან შეთანხმებული გრაფიკით;

კ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა წვდომა, სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

ლ) ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმომწერ პირთა უფლებამოსილების დადგენისათვის, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების მომენტისათვის ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს წერილობით აცნობოს უფლებამოსილი პირების მოვალეობის შესრულების შეთავსების შესახებ ინფორმაცია და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მათი რეკვიზიტები.

8.4 სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმომწერ პირთა უფლებამოსილების დადგენისათვის, უფლებამოსილი პირების მოვალეობის შესრულების შეთავსების შესახებ ინფორმაცია და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მათი რეკვიზიტები წერილობით აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს;

ბ) სააგენტოდან ფიზიკური პირის შესახებ მონაცემები გამოითხოვოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, წარმოადგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების პირობების გადამოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაცია;

დ) სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, წარუდგინოს სააგენტოს ხელშეკრულების 7.2-7.4 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ე) მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში და მოთხოვნის შესაბამისი ფორმით, უზრუნველყოს ინფორმაციის მოთხოვნის საერთო რაოდენობის, მოთხოვნის შემოსვლის და გასვლის დროის თაობაზე ინფორმაციის მონაცემთა გაცვლის სააგენტოსათვის მიწოდება;

ვ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ.

8.5 მხარეები ადასტურებენ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ისარგებლოს რეესტრით (სოციალური მომსახურების სააგენტო თავად წყვეტს, რომელი ოპერაციის განხორციელების დროს მოითხოვოს ინფორმაცია პირის შესახებ). ამდენად, სოციალური მომსახურების სააგენტო" არ არის ვალდებული მასთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული ყველა პირის იდენტიფიკაცია განახორციელოს რეესტრის მეშვეობით.

მუხლი 9. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

9.1 მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ამ მუხლში მითითებული ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

9.2 ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ ქუქჩიშვილი** (ტელ.:032 2357980; მობ.: 577613332; ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge); მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - თავმჯდომარე - **ნიკოლოზ გაგნიძე** (ტელ.: 032 2915140; ელ. ფოსტა: ngagnidze@dea.gov.ge); მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577 944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge); სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ.: 577 17 88 77; ელ. ფოსტა: ieliashvili@moh.gov.ge).

9.3 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა გარდა, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უფლებამოსილნი არიან მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები.

9.4 ხელშეკრულების 9.2 პუნქტში მითითებული პირები ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილი საკონტაქტო პირთა მონაცემებს (სახელი, გვარი, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა) და ინფორმაციას, წინამდებარე პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ან/და ცვლილების შესახებ.

9.5 სოციალური მომსახურების სააგენტო, სააგენტოს ცხელ ხაზზე (032 2401010) ან/და სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (servicedesk@sda.gov.ge) დაკავშირების გზით, იღებს კონსულტაციას ფიზიკური პირის სახელზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობისას, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ტექნიკური ხარვეზი;

ბ) უარყოფითი პასუხი;

გ) პასუხის მიუღებლობა;

დ) მიღებულ პასუხსა და მისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა შორის შეუსაბამობა.

9.6 ვებ-სერვისით ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის კომუნიკაცია ხორციელდება სააგენტოს ცხელი ხაზის (032 2401010) ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით.

9.7 სააგენტო და მონაცემთა გაცვლის სააგენტო, ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ამავე ფორმით ინფორმაციას აწვდის მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით დაკავშირება მოხდა სააგენტოსთვის წინასწარ ცნობილი სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ.

9.8 სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სააგენტოს ცხელ ხაზზე (032 2401010) ან/და სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (servicedesk@sda.gov.ge) დაკავშირების შემთხვევაში, სააგენტო და მონაცემთა გაცვლის სააგენტო ვალდებულნი არიან, სოციალური მომსახურების სააგენტოს დაუყოვნებლივ გაუწიონ კონსულტაცია მის მოთხოვნაზე პასუხის დაგვიანებით მიღების ან/და მიუღებლობის საკითხებზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია სერვისის ტექნიკური გაუმართაობით.

9.9 სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (servicedesk@sda.gov.ge) დაკავშირებისას, რაც გამოწვეულია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული მონაცემებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმისაწვდომ მონაცემებს შორის შეუსაბამობის მიზეზით, სააგენტო სოციალური მომსახურების სააგენტოს კონსულტაციას გაუწევს სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის მისთვის მიწოდებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

9.10 ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ან/და მათი თანამდებობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს სააგენტო.

მუხლი 10. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები

10.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ**

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

ქუქჩიშვილი (ტელ.:0322401010 (3689); მობ.: 577613332; ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge), ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ZURAB BATIASHVILI, პ/ნ 20001000958, მობ.: 577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge).

10.2 ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული მზაობის შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ ქუქჩიშვილი** (ტელ.:0322401010 (3689); მობ.: 577613332; ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge; მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - თავმჯდომარე - **ნიკოლოზ გაგნიძე** (პ/ნ 01024013023; მობ.: 555 606003; ელ. ფოსტა: ngagnidze@dea.gov.ge); სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ZURAB BATIASHVILI პ/ნ 20001000958, მობ.:577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge) და სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ.: 577 17 88 77; ელ. ფოსტა: ieliashvili@moh.gov.ge).

10.3 ხელშეკრულების 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება აქვთ, აგრეთვე, შესაბამის პირთა მოვალეობის შემსრულებელ პირებს.

10.4 ხელშეკრულების 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმომწერ პირთა ან/და მათი თანამდებობის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს სააგენტო.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, სამინისტროს სააგენტოს სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.4 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სააგენტოს სასარგებლოდ, ეკისრება პირგასამტეხლო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

11.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო მხარეს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად.

11.6 ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება არ გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომის გამოყენების შესაძლებლობას.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

12.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, შესაძლებლობისთანავე, დაუყონებლივ, აცნობებს ხელშეკრულების სხვა მხარეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

ნინო იწწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 22 დეკემბრიდან და ძალაშია 2018 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 14. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

14.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის გაგზავნის გზით.

14.2 მხარეები თანხმდებიან, რომ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას ყოველი მხარისათვის.

მუხლი 15. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

15.2 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

15.3 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

16.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

16.2 სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ – მის.: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №50; ს/კოდი 204577699.

16.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

16.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკური პირის აქტიური სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდი

1. **მეთოდის მახასიათებლები**
   1.1. მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId): **SSAHPRPersonStatusSP**
   1.2. მოთხოვნის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Request**
   1.3. პასუხის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Response**
   1.4. მოთხოვნის რეკვიზიტები: **პირადი ნომერებისა** (PrivateNumber) **და დაბადების წლის ჩამონათვალი** (BirthYear)
   1.5. მოთხოვნის რეკვიზიტების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა: **500**
   1.6. მეთოდით ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლო პერიოდი: **თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით.**

2. **მეთოდით მიღებული ინფორმაცია**

ამავე დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის რეკვიზიტების შესაბამისად, სააგენტოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე (ერთზე მეტი ფიზიკური პირის მოთხოვნის რეკვიზიტების მოწოდების შემთხვევაში თითოეული ფიზიკური პირზე) ამავე დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. **მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Request xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#" Id="სოციალური მომსახურების სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი ">
    <SubcontractId>მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი</SubcontractId>
    <RequestReason> ინფორმაციის გამოთხოვის მიზნობრიობა/საფუძველი (არასავალდებულო) </RequestReason>
    <Parameters>
        <HPRPer>  (მოთხოვნის რეკვიზიტების მასივი)
            <PN>პირადი ნომერი </PN>
            <BY>დაბადების წელი</BY>
        </HPRPer>
    </Parameters>
    <Signature> ... სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა </Signature>
</Request>
```

4. **პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Response Id=" სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი" TimeStamp=" პასუხის დაბრუნების დრო" ReferenceId=" სოციალური
                    მომსახურების სააგენტოის უნიკალური იდენტიფიკატორი"
  <ResultStatus>
      <Code> პასუხის სტატუსის კოდი </Code>
      <Message> პასუხის სტატუსის აღწერილობა </Message>
  </ResultStatus>
    <HPRPers>  ( მაღალმთიან რეესტრში არსებული ინფორმაციის მასივი)
        <HPRPer>
            <PN> პირადი ნომერი </PN>
            <HPSt> სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სააგენტოში მოთხოვნის გამოგზავნის შესაბამისი მიმდინარე თვის
                    პირველი რიცხვიდან 20 რიცხვის ჩათვლით პერიოდში, ფიზიკურ პირზე მინიმუმ ერთხელ დაფიქსირდა თუ არა
                    მაღალმთიანი დასახლებულ პუნქტში მცხოვრები პირის აქტიური სტატუსი (1 -  დადებითი , 0 - უარყოფითი; -1 -
                    პირი არ იძებნება მაღალმთიან რეესტრში) </ HPSt>
            <HPID> მაღალმთიან რეესტრში პირის უნიკალური იდენტიფიკატორი </HPID>
            <HPSID> მაღალმთიან რეესტრში პირის სტატუსის შესახებ ჩანაწერის უნიკალური იდენტიფიკატორი </HPSID>
        </HPRPer>
  <HPRPers>
  <Signature> სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის ქვეობიექტი </Signature>
</Response>.
```

ნინო ინწკირველი | ნიკოლოზ გაგნიძე | ზაზა სოფრომაძე | თენგიზ აბაზაძე

მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკური პირის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდი

1. მეთოდის მახასიათებლები

1.1. მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId): **SSAHPRPersonStatusChangeSP**
1.2. მოთხოვნის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Request**
1.3. პასუხის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Response**
1.4. მოთხოვნის რეკვიზიტები: **პირადი ნომერებისა** (PrivateNumber) **და დაბადების წლის ჩამონათვალი** (BirthYear)
1.5. მოთხოვნის რეკვიზიტის დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა: **500**
1.6. მეთოდით ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლო პერიოდი: **თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით.**

2. მეთოდით მიღებული ინფორმაცია

ამავე დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის რეკვიზიტების შესაბამისად, სააგენტოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე (ერთზე მეტი ფიზიკური პირის მოთხოვნის რეკვიზიტების მოწოდების შემთხვევაში თითოეული ფიზიკური პირზე) ამავე დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა

Request xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#" Id="სოციალური მომსახურების სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი ">
<SubcontractId>მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი</SubcontractId>
<RequestReason> ინფორმაციის გამოთხოვის მიზნობრიობა/საფუძველი (არასავალდებულო) </RequestReason>
<Parameters>
<HPRPer> (მოთხოვნის რეკვიზიტების მასივი)
<PN>პირადი ნომერი </PN>
<BY>დაბადების წელი</BY>
</HPRPer>
</Parameters>
<Signature> ... სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა </Signature>
</Request>

4. პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა

<Response Id=" სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი" TimeStamp=" პასუხის დაბრუნების დრო" ReferenceId=" ორგანიზაციის უნიკალური იდენტიფიკატორი">
<ResultStatus>
<Code> პასუხის სტატუსის კოდი </Code>
<Message> პასუხის სტატუსის აღწერილობა </Message>
</ResultStatus>
<HPRPers> (მაღალმთიან რეესტრში არსებული ინფორმაციის მასივი)
<HPRPer>
<PN> პირადი ნომერი </PN>
<HPCSt> სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სააგენტოში მოთხოვნის გამოგზავნის შესაბამისი მიმდინარე თვის წინა თვის 20 რიცხვიდან მოთხოვნის გამოგზავნის დრომდე პერიოდში, ფიზიკურ პირზე მინიმუმ ერთხელ დაფიქსირდა თუ არა მაღალმთიანი დასახლებულ პუნქტში მცხოვრები პირის სტატუსის ცვილების შესახებ ინფორმაცია (1 - დადებითი , 0 - უარყოფითი; -1 - პირი არ იძებნება მაღალმთიან რეესტრში) </ HPCSt>
<HPID> მაღალმთიან რეესტრში პირის უნიკალური იდენტიფიკატორი </HPID>
<HPSID> მაღალმთიან რეესტრში პირის სტატუსის შესახებ ჩანაწერის უნიკალური იდენტიფიკატორი </HPSID>
</HPRPer>
<HPRPers>
<Signature> სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის ქვეობიექტი </Signature>
</Response>.

ნინო ინწკირველი | ნოკოლოზ გაგნიძე | ზაზა სოფრომაძე | თენგიზ აბაზაძე

მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და სტატუსების შესახებ დაფიქსირებული ინფორმაციის მიღების მეთოდი

1. **მეთოდის მახასიათებლები**
   1.1. მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId): **SSAHPRPersonStatusHistory**
   1.2. მოთხოვნის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Request**
   1.3. მოთხოვნის ობიექტში დასაშიფრი ქვეობიექტი: **Parameters**
   1.4. პასუხის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **Response**
   1.5. პასუხის ობიექტში დასაშიფრი ქვეობიექტი: **HPRPerson**
   1.6. მოთხოვნის რეკვიზიტები: პირადი ნომერი (PrivateNumber) და დაბადების წელი (BirthYear)
   1.7. მეთოდით ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლო პერიოდი: **თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით.**

2. **მეთოდით მიღებული ინფორმაცია**

ამავე დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის რეკვიზიტების შესაბამისად, სააგენტოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და სტატუსების ასახვის შესახებ, ამავე დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული, ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. **მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Request xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#" Id= " სოციალური მომსახურების სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი ">
   <SubcontractId>მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი</SubcontractId>
   <RequestReason> ინფორმაციის გამოთხოვის მიზნობრიობა/საფუძველი (არასავალდებულო) </RequestReason>
   <Parameters>
      <HPRPerson>
            <PrivateNumber>პირადი ნომერი</PrivateNumber>
            <BirthYear>დაბადების თარიღი - წელი</BirthYear>
      </HPRPerson>
   </Parameters>
   <Signature> ... სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერა </Signature>
</Request>
```

4. **პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Response Id=" სააგენტოს უნიკალური იდენტიფიკატორი" TimeStamp=" პასუხის დაბრუნების დრო" ReferenceId=" ორგანიზაციის
                    უნიკალური იდენტიფიკატორი">
  <ResultStatus>
     <Code> პასუხის სტატუსის კოდი </Code>
     <Message> პასუხის სტატუსის აღწერილობა </Message>
  </ResultStatus>
    <HPRPerson>
     <HPRPersonID> პირის უნიკალური იდენტიფიკატორი </PersonID>
     <PrivateNumber> პირადი ნომერი </PrivateNumber>
     <LastName> გვარი </LastName>
     <Firstname> სახელი </Firstname>
     <BirthDate> დაბადების თარიღი </BirthDate>
     <HPRPersonStatusDatas>  (მაღალმთიან რეესტრში სტატუსების ასახვის შესახებ ინფორმაციის მასივი)
        <HPRPersonStatusData>
          <PersonStatusID> მაღალმთიან რეესტრში მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის
             უნიკალური იდენტიფიკატორი (შესაძლო მნიშვნელობები: 1- აქტიური; 2- შეჩერებული; 3-შეწყვეტილი; 4-
             გაუქმებული; 5-გაბათილებული; 6-გაუქმებული(ტექნიკური ხარვეზი); 7-ძალადაკარგული) </PersonStatusID>
          <PersonStatus> მაღალმთიან რეესტრში მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი
             (შესაძლო მნიშვნელობები: აქტიური; შეჩერებული; შეწყვეტილი; გაუქმებული; გაბათილებული;
             გაუქმებული(ტექნიკური ხარვეზი); ძალადაკარგული)  </PersonStatus>
          <PersonStatusConferDate>სტატუსის მინიჭების თარიღი</PersonStatusConferDate>
          < IsCurrent > არის თუ არა  სტატუსის შესახებ ჩანაწერი ბოლო/მიმდინარე მდგომარეობის აღმწერი ამ  ფიზიკურ პირთან
             მიმართებაში (1-კი, 0 - არა) </ IsCurrent >
          <HPRPersonStatusCreateDate>  პირის სტატუსის შესახებ ჩანაწერის მაღალმთიან რეესტრში ასახვის თარიღი </
             HPRPersonStatusCreateDate >
          <HPRPersonStatusID>  მაღალმთიან რეესტრში, პირის სტატუსის შესახებ ჩანაწერის უნიკალური იდენტიფიკატორი
             </HPRPersonStatusID>
          <HPRPersonStatusParentID> მაღალმთიან რეესტრში, პირის სტატუსის შესახებ ჩანაწერის მდგომარეობის შემცვლელი სხვა
             ჩანაწერის უნიკალური იდენტიფიკატორი</HPRPersonStatusParentID>
          <DecisionID> გადაწყვეტილების უნიკალური იდენტიფიკატორი </DecisionID>
```

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე

</HPRPersonStatusData>
</ HPRPersonStatusDatas >
</HPRPerson>
<Signature> სააგენტოს მიერ ელ. სერტიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის ქვეობიექტი </Signature>
</Response>.



ნინო ინწკირველი | ნიკოლოზ გაგნიძე | ზაზა სოფრომაძე | თენგიზ აბაზაძე

შიფრაციის ღია გასაღების გაცვლის მეთოდი

1. **მეთოდის მახასიათებლები**
   1.1. მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი (SubcontractId): **SSAHPRKeyExchange2**
   1.2. შიფრაციის გასაღების ვალიდურობის ხანგრძლივობა: **24 საათი**;
   1.3. მოთხოვნის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **ECKeyValue**
   1.4. პასუხის ობიექტში ხელმოსაწერი ქვეობიექტი: **ECKeyValue**

2. **მეთოდით მიღებული ინფორმაცია**

მოთხოვნის ობიექტში სოციალური მომსახურების სააგენტოს ღია გასაღების რეკვიზიტის შესაბამისად სააგენტოს მიერ გენერირებული სიმეტრიული ღია გასაღები.

3. **მოთხოვნის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Request>
    <SubcontractId>მეთოდის უნიკალური იდენტიფიკატორი</ SubcontractId >
    <Parameters>
        <ECKeyValue Id="სოციალური მომსახურების სააგენტოის მიერ მინიჭებული უნიკალური იდენტიფიკატორი"
                    xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#">
            <NamedCurve URI="urn:oid:1.3.36.3.3.2.8.1.1.7" (წინასწარ შეთანხმებული ელიფსური წირი კრიპტოგრაფიისთვის) />
            <PublicKey> სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გენერირებული ღია გასაღები</ PublicKey >
            <Signature>... სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ელ. სერთიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის
            ქვეობიექტი ... </Signature>
        </ECKeyValue>
    </Parameters>
</Request>
```

4. **პასუხის ობიექტის XML სტრუქტურა და პარამეტრების მნიშვნელობა**

```
<Response Id="პასუხის უნიკალური იდენტიფიკატორი" ReferenceId="მოთხოვნის უნიკალური იდენტიფიკატორი "
TimeStamp="პასუხის დაბრუნების დრო"
    <ResultStatus>
        <Code> პასუხის სტატუსის კოდი </Code>
        <Message> პასუხის სტატუსი </Message>
    </ResultStatus>
    <ECKeyValue Id="გასაღების წყვილის უნიკალური იდენტიფიკატორი" xmlns="http://www.w3.org/2009/xmldsig11#">
        <NamedCurve URI="urn:oid:1.3.36.3.3.2.8.1.1.7" />
        <PublicKey> სააგენტოს მიერ გენერირებული ღია გასაღები </PublicKey>
        <Signature> ... სააგენტოს მიერ ელ. სერთიფიკატით განხორციელებული ხელმოწერის ქვეობიექტი ... </Signature>
    </ECKeyValue>
</Response>
```

ნინო ინწკირველი	ნიკოლოზ გაგნიძე	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე